ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6278646

ნომერი: AR1940354

თარიღი : 20.12.2022

გაცემის თარიღი : 10.01.2023

გაცნობის თარიღი : 11.01.2023

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დირსიჭალის ქუჩა N1.; ქალაქი თბილისი , ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N29; ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩოლოყაშვილი , N 49; ქალაქი თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N25ა; ქალაქი თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N25;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ცხოვრებაშვილი პ/ნ 12001018067
- თბილისი თბილისი ლილო საქნავთობის დასახლების მიმდებარედ

ორგანიზაცია:

- შპს ნია კოდი: 406211291

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 03/11/2020 წლის 16-0120308202 წერილის შესაბამისად: „თქვენს მიერ შემოთავაზებული საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს მკვეთრად ჩამოყალიბებულ ინდივიდუალური განაშენიანების არეალს. ვინაიდან საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მშენებლობაჩამოყალიბებულ განაშენიანებაში არსებით, საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებებს (იცვლება ინფრასტრუქტურული მოწყობა, განაშენიანების სივრცითგეგმარებითი წყობა, ამასთანავე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის N012030658 პოზიციის შესაბამისად: „ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩა წარმოადგენს ტრანზიტული საჯარო ტრანსპორტის დერეფანს. ამასთან, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე განაშენიანება დაბალი ინტენსივობის მქონე და ერთგვაროვანია. საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მიიჩნევს, რომ საგზაო მოძრაობის ჯეროვნად დაგეგმვისა და შემდგომი მოწყობისათვის, აგრეთვე, დაგეგმილ განაშენიანებასთან დამაკავშირებელი გზის ერთიანი ხედვის ფარგლებში განსაზღვრისათვის, საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება მიზანშეწონილია განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში”. აღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს 20/12/2022 წლის AR1940354 განაცხადი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.